დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2026 წლის 19 მარტის
N333713 ბრძანებით

სტუდენტთა კამპუსით სარგებლობის წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესები განსაზღვრავს სტუდენტთა კამპუსით (შემდგომში - კამპუსი) სარგებლობის პირობებს, უფლებებსა და ვალდებულებებს.
2. წესის მიზანია კამპუსში უსაფრთხო, ჰიგიენური და ორგანიზებული საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა.

მუხლი 2. კამპუსით სარგებლობის უფლება

კამპუსით სარგებლობის უფლება აქვთ:
ა) კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს;
ბ) კოლეჯის მსმენელებს;
გ) კოლეჯის თანამშრომლებს;
დ) კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე დაშვებულ სხვა პირებს.

მუხლი 3. სტუდენტის/მსმენელის ვალდებულებები

1. კამპუსში მცხოვრები პირი ვალდებულია:
   ა) გაუფრთხილდეს კამპუსის ინვენტარს და ზიანის მიყენების შემთხვევაში აანაზღაუროს იგი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
   ბ) დაიცვას სისუფთავე და ჰიგიენური ნორმები;
   გ) დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და სხვა მობინადრეთა უფლებები;
   დ) არ დაარღვიოს სიმშვიდე და ხელი არ შეუშალოს სხვებს სწავლასა და დასვენებაში;
   ე) კამპუსიდან გასვლისას მოწესრიგებულ მდგომარეობაში დატოვოს მისთვის

გამოყოფილი საცხოვრებელი ფართი;
ვ) კამპუსიდან გასვლისას ჩააბაროს ოთახის გასაღები უფლებამოსილ პირს ან დატოვოს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე;
ზ) დაემორჩილოს ადმინისტრაციისა და მორიგე პერსონალის კანონიერ მითითებებს.

მუხლი 4. კამპუსში ყოფნის დროის რეგულაცია

1. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია კამპუსში დაბრუნდეს:
   ა) ზამთრის პერიოდში – არაუგვიანეს 20:00 საათისა;
   ბ) ზაფხულის პერიოდში – არაუგვიანეს 22:00 საათისა.
2. აღნიშნული დროის შემდეგ კამპუსიდან გასვლა დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციის ან მორიგე პერსონალის წინასწარი გაფრთხილებით ან თანხმობით.

მუხლი 5. აკრძალვები

კამპუსში მცხოვრებ პირებს ეკრძალებათ:
ა) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მასში მონაწილეობა;
ბ) თამბაქოს მოწევა შენობაში და კოლეჯის ტერიტორიაზე;
გ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანა, შენახვა და მოხმარება;
დ) კამპუსში შემოსვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
ე) უცხო პირების შემოყვანა ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე;
ვ) ოთახის გასაღების თვითნებურად შეცვლა;
ზ) ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე სტუმრების მიღება;
თ) ხმაური, მათ შორის აუდიო/ვიდეო მოწყობილობების ისეთი ხმაზე გამოყენება, რომელიც ხელს შეუშლის სხვა მობინადრეებს;
ი) ოთახებში შეკრება და წვეულებების მოწყობა;
კ) 23:00 საათის შემდეგ სხვა სართულებზე გადაადგილება;
ლ) საცხოვრებელი ფართის კედლებზე შეუფერებელი შინაარსის მასალის განთავსება;
მ) ცეცხლსაშიში ან სიცოცხლისთვის საშიში ნივთების გამოყენება (გამათბობლები, სანთლები და სხვა).

მუხლი 6. უსაფრთხოება და წესრიგი

1. კოლეჯი უზრუნველყოფს კამპუსში უსაფრთხო გარემოს შექმნას, თუმცა არ აგებს პასუხს სტუდენტის/მსმენელის პირადი ნივთების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია კოლეჯის ბრალეულობით.
2. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესები.
3. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ადმინისტრაციის მითითებებს.

მუხლი 7. საერთო სივრცეების გამოყენება

1. საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება მათი დანიშნულების შესაბამისად.
2. მომხმარებელი ვალდებულია დატოვოს საერთო სივრცე სუფთა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში.

მუხლი 8. კამპუსში შესვლის ინვენტარის აქტის შევსება

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია კამპუსში შესვლისას შეავსოს კამპუსში შესვლის ინვენტარის აქტის ფორმა (დანართი N1), რომელიც აფიქსირებს მისთვის გამოყოფილ ოთახში არსებულ ინვენტარს და მათ მდგომარეობას.
2. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ინვენტარის აქტის ფორმაში მითითებული ნივთების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მოახდინოს ზიანის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ინვენტარის აქტის ერთი ეგზემპლარი რჩება სტუდენტთან/მსმენელთან, მეორე სტუდენტთა კამპუსის და სასტუმროს მენეჯერთან.

მუხლი 9. კამპუსის დატოვება

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია გაათავისუფლოს კამპუსში მისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართი:
   ა) სასწავლო პროცესის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;
   ბ) არდადეგების პერიოდში, თუ ადმინისტრაციის მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
2. საცხოვრებელი ფართის დატოვებისას სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
   ა) ჩააბაროს ოთახი მოწესრიგებულ მდგომარეობაში;
   ბ) დააბრუნოს მისთვის გადაცემული ინვენტარი;
   გ) გაიტანოს საკუთარი პირადი ნივთები;
   დ) ჩააბაროს ოთახის გასაღები უფლებამოსილ პირს.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

1. წინამდებარე წესების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას დასტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება კოლეჯის სტუდენტთა/მსმენელთა განაწესის შესაბამისად.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1.წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ;

2.წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი.

დანართი N1

კამპუსში შესვლის ინვენტარის აქტის ფორმა

კამპუსში შესვლის ინვენტარის აქტი N-----

კამპუსის ოთახის ნომერი: _____

სტუდენტი/მსმენელი სახელი,გვარი : _____

პროგრამა: _____

შესვლის თარიღი: ____ / ____ / _____

1. ინვენტარის სია

N	ინვეტარის დასახელება	მდომარეობა	შენიშვნა

ვადასტურებ, რომ ზემოთ აღნიშნული ინვენტარი გადმომეცა აღნიშნული მდგომარეობით. ვთანხმდები, რომ მისი დაზიანება ჩემი ქმედების ან დაუდევრობის შედეგად, გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობას ჩემზე.
სტუდენტის/მსმენელის ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ / ____ / _____

სტუდენტთა კამპუსის და სასტუმროს მენეჯერის / ხელმოწერა:
_____

თარიღი: ____ / ____ / _____